

აუდიტორიის პირისპირ

(ვის და როგორ ვასწავლი უცხოურ ენას)

I

წინათქმა: უკვე ათწლეულებია, ჩემი ადრესატია სტუდენტობა. ვასწავლი ინგლისურს. ჩემი გზა სტუდენტისაკენ მის გონებასა და აზროვნებაზე გადის. ცხადია, რადგან შესწავლის ობიექტი ენაა, გარკვეულ უნარ-ჩვევებთან ერთად სწავლების პროცესი მეტყველების სიზუსტესა და სისხარტესაც მოიცავს; ეს ყველაფერი ერთად კი მნიშვნელოვან სამსახურს უწევს იმას, რასაც ენის დაუფლება ჰქვია.

წინამდებარე სტატია ორი აქტიური უნარ-ჩვევის, წერითი და ზეპირი მეტყველების გრამატიკულ სიზუსტეს ეხება. იგი ზოგადი ინგლისურის სწავლების ბოლოდროინდელი გამოცდილებითაა ნაკარნახევი. მეტი ავთენტურობის მიზნით მაგალითები სტუდენტთა ნაწერებიდან შევარჩიე, თუმცა ის, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, ვფიქრობ, წერითთან ერთად ზეპირი მეტყველების პრობლემათიკასაც ადვილად ითავსებს.

უცხოურ ენათა ცოდნა ყოველთვის იყო გარესამყაროსთან კავშირურთიერთობის აუცილებელი წინაპირობა. დღევანდელ სინამდვილეში ეს ცოდნა, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამდენად, ასევე მნიშვნელოვანი ხდება ახალგაზრდა თაობის უზრუნველყოფა შესაბამისი უნარ-ჩვევებით, რაც ხელს შეუწყობდა მათს პროფესიულ სრულყოფასა და დასახული მიზნების რეალიზაციას.

ეს ითქვა საკითხის დასმის წესით. მთავარი და, ამასთან, არცთუ ადვილი ისაა, თუ რა გზით უნდა იქნეს მიღწეული ცოდნის სათანადო დონე.

ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამ ზოგადი პრობლემის პირობითი დაკონკრეტება (1) დროსა და (2) სივრცეში.

(1)

დრომ მოიტანა ახლებური ხედვა.

დღეს წინა პლანზეა წამოწეული ენის კომუნიკაციური ფუნქცია. მთავარი მოთხოვნებია შემსწავლელმა დანაკარგების გარეშე (ან მინიმალური დანაკარგებით) მიიღოს და გადასცეს ინფორმაცია. ამ მიზანს საკმაოდ ეფექტურად ემსახურება ბოლოხანს საზღვარგარეთ გამოცემულ ინგლისური ენის სახელმძღვანელოთა მთელი რიგი. მათი ღირსება ისაა, რომ შემსწავლელს მიეწოდება თემატურად აქტუალური და უახლესი ლექსიკურ-გრამატიკული მასალით გაჯერებული ტექსტები და სავარჯიშოები, რაც მოიცავს ენის დაუფლებისათვის აუცილებელ ოთხსავე უნარ-ჩვევას: კითხვას, წერას, მეტყველებას, მოსმენას. სახელმძღვანელოთა აგების თემატური პრინციპი მათს ხმარებას აადვილებს – ისინი იმავდროულად ცნობარის ფუნქციასაც ასრულებენ, სადაც ნებისმიერ პირს შეუძლია მოიძიოს ლექსიკისა თუ გრამატიკის ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული მისთვის საინტერესო მასალა.

ამ სახელმძღვანელოებში გრამატიკა ტექსტობრივ მასალაშია ინტეგრირებული, აქ ერთმანეთს ორგანულად ერწყმის კონკრეტული ლექსიკური თემა და ლოგიკურად მასთან ასოცირებული გრამატიკული საკითხი. მაგალითები: Change - Conditional Sentences [1, 103]; Conflict /Emotions – (Formal and Informal) Emphasis [2,114] და სხვ. ლექსიკისა და გრამატიკის ამგვარი კავშირი სრულიად ძალდაუტანებლად ქმნის ფონს, უფრო მეტიც, მოტივაციას, რომ შემსწავლელი ადვილად ჩაერთოს როგორც აქტიური, ასევე პასიური უნარ-ჩვევების სრულყოფის პროცესში.

მაგრამ გვაქვს კი ამგვარივე ბმულობა საკუთრივ გრამატიკის სწავლებაში? გრამატიკა ხომ გაცილებით უფრო სისტემურია თავისი არსით, ვიდრე – ლექსიკა და ამის გაუთვალისწინებლობა მხოლოდ გვაშორებს იმ მიზნის მიღწევას, რომელსაც მეტყველების სიზუსტე ჰქვია.

სახელმძღვანელოთა ეს თაობა არ ისახავს მიზნად გრამატიკისადმი სისტემურ მიდგომას, რაც სავსებით ბუნებრივია, ეს ასეც უნდა იყოს. ამ შემთხვევაში წარმმართველია კომუნიკაციის ფაქტორი – კომუნიკაციური გრამატიკის პრიმატს აქ ალტერნატივა არ გააჩნია. ეს არის არა მარტო დროის მოთხოვნა, არამედ – ფართო თვალსაწიერიდან დანახული – ლინგვისტიკის განვითარების მორიგი ეტაპი.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერთა ინტერესმა სემანტიკიდან თანდათან პრაგმატიკისკენ გადაინაცვლა. ამას თავისთავად

მოჰყვამზარდი ინტერესი ენის კომუნიკაციური ფუნქციის მიმართ და, ამასთან, ერთგვარი სიახლეც ინგლისური ენის სწავლებაში. კერძოდ, გარკვეულწილად შეიცვალა მიდგომა მხატვრული ტექსტისადმი, რომელიც უკვე ინტენსიურად განიხილებოდა მხატვრული კომუნიკაციის ქრილში; გაფართოვდა გრამატიკის შესწავლის არეალიც: მრავალრიცხოვანი აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომი გახდა სახელმძღვანელოები, რომლებიც სრულიად ახლებურად წარმოაჩენდნენ შემსწავლელისათვის კარგად ცნობილ არაერთ საკითხს. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ერთდროულად გამოჩნდა წიგნის ბაზარზე ნორმატიული და კომუნიკაციური გრამატიკის ისეთი ავტორიტეტული სახელმძღვანელოები, როგორებიცაა: University Grammar of English. R. Quirk, S. Greenbaum, G. Leech, J. Svartvik, Moscow, 1982; Communicative Grammar of English. G. Leech, J. Svartvik, Moscow, 1983.

უსათუოდ გასათვალისწინებელია გარესამყაროში მიმდინარე ძვრებიც. მოიხსნა ე. წ. „რკინის ფარდა“, რასაც მოჰყვამზარდი ალმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოება და პოლიტიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სხვა სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობა. ამას ერთვის ელექტრონული მედიის მზარდი როლი ჩვენს ყოველდღიურობაში, რომლის ძირითად საურთიერთობო ენას ინგლისური წარმოადგენს.

ჩვენ ეს წიაღსვლა იმისთვის დაგვჭირდა, რომ წინ წამოგვეწია ენის კომუნიკაციური ფუნქციის განმაპირობებელი არა მარტო ლინგვისტური, არამედ ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც. ამასთან ერთად, დაკონკრეტდა თვით საურთიერთობო ენა – ინგლისური.

გარდუვალმა აუცილებლობამ და ინგლისურისადმი მოზღვავებულმა ინტერესმა არ უნდა ავნოს ენის შესწავლის ხარისხს (ოლონდ გაიგოს, *ოლონდ როგორღაც თქვას სათქმელი, ანუ „იმესიჯოს“* და...). სიზუსტე ენის ნებისმიერ დონეზე, იქნება ეს ფონეტიკა, ლექსიკა თუ გრამატიკა, ასევე განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს სწავლებისა, მით უფრო, როცა საქმე ანგლისტიკის სპეციალობასა და ზოგადად საუნივერსიტეტო განათლებას ეხება, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მომთხოვნელობითა და აკადემიზმით.

საკითხის ამგვარად დასმა არაა რაიმე ახირება ან კაპრიზი, არც წარსული პრაქტიკის დღევანდელობაში გადმონერგვის მცდელობა. სიზუსტეს ითხოვს თუნდაც ტესტირებისა და სერტიფიკაციის საკმაოდ მკაცრი სისტემა. მას (სიზუსტეს) მოაქვს არა მარტო მყარი ცოდნა, არამედ საკუთარი ძალების რწმენა და თავდაჯერებულობა, რაც დიდად უწყობს ხელს ახალგაზრდის პიროვნებად ჩამოყალიბებას და რაც, აკადემიურთან ერთად, აღმზრდელობითი მუხტის მატარებელიცაა.

განვავარძობ გრამატიკულ სიზუსტესთან დაკავშირებულ მსჯელობას.

კომუნიკაციური გრამატიკა განსაკუთრებულ დახვეწილობასა და მოქნილობას ჰმატებს ენას, მაგრამ შედეგი განუზომლად უფრო დიდია, როცა სტუდენტი სათანადოდაა გარკვეული ნორმატიული გრამატიკის საკითხებში. თემატური თანმიმდევრულობა და მორფოლოგია-სინტაქსის მიზნობრივი შესწავლა, რაც ნორმატიული გრამატიკის საზრუნავია, ალბათ ანგლისტიკის სპეციალობას უნდა მივანდოთ, ჩვენ კი ვეცადოთ სისტემურობა და სიმწყობრე შევმატოთ ინგლისური ენის ახალ სახელმძღვანელოებში მოქცეულ გრამატიკას და იგი შეძლებისდაგვარად ერთენოვანი ქართული აუდიტორიის მოთხოვნილებას მივუსადაგოთ. ჩემი ღრმა რწმენით, ესაა ის, რასაც აუდიტორია ელის ჩვენგან და არა მარტო ელის, არამედ იმსახურებს ამას.

სიტყვა *იმსახურებს* აქ თითქოს უადგილოდაა ნახმარი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. ლექცია-გაკვეთილი ხომ ასევე კომუნიკაციის აქტია, რომლის წარმატებაც დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ასწავლის, ვის ასწავლიან და, ცხადია, რა საშუალებით ანუ რა გზით და როგორ ასწავლიან. ეს კომპონენტები განუყოფელია ერთმანეთისაგან და მხოლოდ ერთობლიობაში ქმნიან აღნიშნული აქტის მყარ საფუძველს.

საკითხის ამგვარად დასმით ჩვენ უკვე უცხოური ენის სწავლების სივრცობრივ მხარეს მივადექით.

(2)

მიახლოებითი პასუხები დასმულ კითხვებზე:

ასწავლის: ინგლისურის არაუცხოელი მასწავლებელი – EFL teacher (შემდგომში: EFL მასწავლებელი)¹ ან შესასწავლი ენის მატარებელი უცხოელი (a native speaker). ჩვენი უმაღლესი სკოლის სინამდვილეში დღესდღეობით პირველია სწავლების პროცესის წარმმართველი.

ასწავლიან: ნებისმიერი ასაკის შემსწავლელს. ჩვენი უმაღლესი სკოლის სინამდვილეში ესაა 18-20 წლის ახალგაზრდობა და ესაა ერთენოვანი აუდიტორია.

როგორ, რა საშუალებით ასწავლიან: აქ ზოგადად ორი საყურადღებო მომენტი იკვეთება:

ა) ენის ათვისება ხდება თავისთავად, ბუნებრივ გარემოში. ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს. შემსწავლელი გარემოცულია ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებით. ეს შესაშური რამაა, რაც ჩვეულებრივ

¹ იგულისხმება ის, ვისთვისაც ქართული მშობლიური ენაა ან ვინც მას კარგად ფლობს.

მაშინ ხდება, თუ შემსწავლელი უცხოეთში ცხოვრობს, სადაც ენის დაუფლება სრულიად ძალდაუტანებლად მიმდინარეობს (და იქნებ ბევრჯერ სოციალური გადარჩენის საქმეცაა). ამის ორგანიზება არც სხვაგან არის გამორიცხული, ვთქვათ, ოჯახში, ან ნებისმიერ ადგილას, სადაც უზრუნველყოფილია ის, რასაც ენასთან ხანგრძლივი კონტაქტი ჰქვია (long-term exposure to English). შედეგი საიმედოა და მართლაც იშვიათი. აქ გადამწყვეტი როლი ენის ათვისებაში მეტწილად უცხოელს, ამ ენის მატარებელს, ენიჭება.

ბ) ენის ათვისება მოქცეულია ლექცია-გაკვეთილის აკადემიურ ჩარჩოებში. უდიდესი უმრავლესობა, მათ შორის – ჩვენი სტუდენტობა, მოკლებულია ზემოხსენებულ შესაძლებლობას. ჩვენს უმაღლეს სკოლებში ისინი ბევრად უფრო შეზღუდულ პირობებში ეუფლებიან ინგლისურს. ვგულისხმობ დროის ფაქტორს – ზოგადი ინგლისურის კურსს კვირაში 6 საათი ეთმობა. ამ შემთხვევაში ჩართულობა ცოცხალ სამეტყველო პროცესში გაცილებით ნაკლებია, მაგრამ ამას ერთგვარად ავსებს ვიდეო- და აუდიოტექნიკა (ეს უკანასკნელი ყოველთვის თან ერთვის აღნიშნულ სახელმძღვანელოებს). მას აგრეთვე ავსებს მასწავლებელი, რომელიც შეიძლება იყოს, ან შეიძლება არ იყოს ენის მატარებელი. ნებისმიერ შემთხვევაში დროის ფაქტორი პრობლემად რჩება. როგორ შევავსოთ ეს დანაკლისი? როგორ მივალწიოთ ამგვარ პირობებში მეტყველების სიზუსტეს, რაც აქტიურ უნარ-ჩვევებში, ზეპირმეტყველებასა თუ წერაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს? როგორც უკვე ითქვა, ბევრად უფრო დიდია ამის მნიშვნელობა და მოთხოვნილება ამგვარ სიზუსტეზე ტესტირებისა და სერტიფიკაციის შემთხვევაში.

მაშასადამე, ჩვენ ვასწავლით სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს და ესაა ერთენოვანი აუდიტორია. ეს გასათვალისწინებელი ფაქტორებია, ეს, უდავოდ, რალაცას გვკარნახობს და გვაავალებს. მივყვეთ მსჯელობას.

აუდიტორიასთან დაკავშირებით ვიტყვოდი იმას, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოები არაა დიფერენცირებული და მრავალენოვან აუდიტორიასა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ნებისმიერი ასაკის ნებისმიერ შემსწავლელზეა გათვლილი. აქ იმთავითვე შეიძლება გამოითქვას შემდეგი მოსაზრება: არ იქნებოდა ურიგო სასწავლო მასალის (როგორც უკვე აღინიშნა, აქ გრამატიკა გვაქვს მხედველობაში) ერთგვარი მოდიფიკაცია-მორგება კონკრეტულ სიტუაციაზე, ამ შემთხვევაში – ერთენოვან ქართულ სივრცეზე და ტიპურ შეცდომათა დადგენა.

უნივერსიტეტში სტუდენტი შემოდის გარკვეული ცოდნით და ეს მხოლოდ ინგლისურს არ გულისხმობს. რიგ სხვა საკითხებთან ერთად იგი მოიცავს ქართულსა და აქედან გამომდინარე არაერთ პრობლემას, სტერეოტიპსა და ა.შ. ეს ენობრივი კომპეტენცია შესაძლოა ართულებდეს ან აადვილებდეს უცხოური ენის ათვისებას. დავასახელებთ თუნდაც ინტერფერენციის მოვლენას და აქვე მოვიყვან ერთ-ორ მაგალითს სწავლების შუალედური დონის სტუდენტთა ნამუშევრებიდან: ა) *He came already; ბ) *I have attached the file in which is all information...; გ) *I know to play on the piano² და სხვა მისთანანი. აქ სახეზეა მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური უზუსტობანი, რომელთაც სათავე დედა-ენაში უდევს: ა) ქართული ნამყო იმთავითვე, იმპულსურად ასოცირდება Simple Past დროსთან; ბ) და გ) სიტყვასიტყვითი თარგმანია ქართულისა: ... რომელშიც არის ყველა ინფორმაცია; მე ვიცი პიანინოზე დაკვრა. შეცდომათა ამგვარ ფესვებს მხოლოდ იმავე სოციუმის წარმომადგენელი, ანუ არაუცხოელი, მოცემულ შემთხვევაში EFL მასწავლებელი ხედავს და ახდენს მათს შესაბამის კვალიფიკაციას; აღნიშნული ხედვა კი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც შეცდომის წარმომავლობა მისი აღმოფხვრის აუცილებელი წინაპირობაა, რაც EFL მასწავლებლის მოსაგვარებელი საკითხია, მისი პრეროგატივაა. საუკეთესო შედეგი კი უცხოური ენის სწავლებაში ამ უკანასკნელისა და ენის მატარებლის ანუ უცხოელი მასწავლებლის ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა.

ამგვარი პრაქტიკა ადრეც იყო ჩვენს ყოველდღიურობაში. ჩემს თაობას კარგად ახსოვს არაერთი შესანიშნავი სპეციალისტი, ე. წ. visiting professors, რომლებიც ჯერ კიდევ 1980-90-იან წლებში წარმატებით თანამშრომლობდნენ უცხოურ ენათა ინსტიტუტის კოლექტივთან, და არა მარტო მასთან (გავიხსენებ თუნდაც ჯ. სკრივენერს, ე. და ტ. კლელანდებს, დ. როუსონს და სხვ.)

შემდეგ უკვე ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციამ და ბრიტანეთის საბჭომ, ცხადია, გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით, განაგრძეს ეს საქმე და არაერთ უცხოელს შეგვახვედრეს ლექცია-სემინარებისა თუ საერთაშორისო კონფერენციების ფორმატში. თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან ახლაც ინტენსიურად მიმდინარეობს. ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან და ეს საქმე უცხოეთში ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაა. წერენ სახელმძღვანელოებს, ბეჭდავენ სტატიებს პერიოდულ გამოცემებში, გამოცდილების გაზიარების მიზნით ხვდებიან სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებლებს...

2 ვარსკვლავით (*) აღნიშნულია მცდარი ფორმები/წინადადებები.

ურთიერთთანამშრომლობის სიკეთეზე ბევრი საგულისხმო რამ შეიძლება ითქვას. ახლა ეს ყველასთვისაა ცნობილი, მაგრამ, როცა ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები იდგმებოდა, მნიშვნელოვან სიახლედ იქნა აღქმული, რომ საჭიროა მეტი მოთმინება და შემწყყნარებლობა გამოვიჩინოთ შეცდომებისადმი იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთილის მიზანი მეტყველების სისხარტეა და არა სიზუსტე. ეს საჭიროა იმისთვის, რომ არ შეილახოს შემსწავლელის რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში (not to inhibit the learner's linguistic competence). საგულისხმოა და პრაქტიკაში ადვილად და აუცილებლად დასანერგი შეცდომებისადმი დიფერენცირებული მიდგომა. უ. ენკერი მოწვეულ სპეციალისტთა შორის ალბათ პირველი იყო, ვინც ქართველი კოლეგების წინაშე შეცდომათა კატეგორიზაციის საკითხი დააყენა და განასხვავა მათი ორი ძირითადი სახე: error vs. mistake (მოგვიანებით ამას მოჰყვა მისივე პუბლიკაცია. იხ. [3, 20]).

გრამატიკული სიზუსტის ძიებისას შევჩერდები შეცდომათა პირველ სახეობაზე, რომელიც კვალიფიცირდება როგორც error – სიღრმისეული შეცდომა: სტუდენტი არ არის გარკვეული საკითხის არსში და ამდენად უზუსტობა გარდუვალია. მის აღმოსაფხვრელად ძალისხმევაა საჭირო, იგი გარკვეულ ახსნა-განმარტებას ითხოვს მასწავლებლის მხრიდან; და რადგან ამგვარ შეცდომას ხშირად მშობლიურ ენაში უდევს სათავე, აქ აუცილებელია EFL მასწავლებლის ჩართულობა, რათა კონტრასტი, და ვნებავთ ანალოგიაც, მოხერხებულად იქნეს გამოყენებული პრობლემის გადასაჭრელად. მაგალითისათვის მოვიყვან ისეთ ტიპურ შეცდომას, როგორიცაა: (ა) მორფოლოგიაში – Past Continuous დროის უადგილო ხმარება და (ბ) სინტაქსში – სიტყვათა წყობა კითხვით წინადადებაში.

(ა) ... *დავდიოდით, ვსაუბრობდით, მზეზე ვირუჯებოდით...* აქ ნახმარია ნამყო უსრული. შესაძლოა სტუდენტი ამას ვერც აცნობიერებდეს და არც ახდენდეს საკითხის ამგვარ თეორიულ ფორმულირებას; ეს არცაა საჭირო. მთავარია, რომ როგორც ენის მატარებელი, იგი ზედმიწევნით იცნობს და გრძნობს ქართულის ყველა ნიუანსს. პროცესუალობის, უსრულობის გამომხატველად მას ინგლისურში ნამყო განგრძობითი ეგულება და მექანიკურად ხმარობს კიდევ ამ გრამატიკულ დროს: *We were walking, talking, were getting tanned. აქ მხოლოდ ოდნავ წახმარებაა საჭირო, ერთი პატარა ბიძგი (EFL teacher's tip), _ მაღლიანი სიტყვა *ხოლმე*, რაც მაშინვე თავის უფლებებში აღადგენდა Simple Past დროს, რადგან მის ერთ-ერთ ფუნქციას, როგორც ვიცით, წარსულში გამეორებადი მოქმედების (ნამყოს ხოლმეობითის) გადმოცემაც შეადგენს: We walked, talked, got tanned ... ამგვარი შეცდომა შემსწავლელმა

შეიძლება კვლავ დაუშვას, მაგრამ, რაკი იგი საკითხის არსში გარკვეულია, ეს შეცდომა უკვე აღარ იქნება სილრმისეული – error, არამედ უნებლიე – mistake/slip, რომელიც თავადაც ადვილად შეუძლია გაასწოროს. შევნიშნავ, რომ შეცდომის სილრმისეული დონის გადალახვა კვლავ EFL მასწავლებლის უშუალო მონაწილეობით მოხდა. ცოდნის შემდგომი განმტკიცება შეზღუდული დროის პირობებში ძირითადად სტუდენტს უნდა მივანდოთ, რაშიც მას მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სამუშაო წიგნი (Workbook) მასზე დართული პასუხებით.

(ბ) ინგლისურ ენაში სიტყვათა თანმიმდევრობა ზოგადად, და განსაკუთრებით კი კითხვით წინადადებებში, არსებითად განსხვავდება ქართულისაგან, რაც არაერთ პრობლემას უქმნის შემსწავლელს: ისინი მშობლიური ენის თარგმნე ქრიან და ქმნიან სტრუქტურებს – სახეზეა სინტაქსური ინტერფერენცია: (1) *New guests the hotel can receive only next weekend. (2) *I met at the concert some friends. ეს მაგალითებიც შუალედური დონის სტუდენტთა ნაწერებიდანაა ამოღებული. ამ ეტაპზე მათ უთუოდ იციან, რომ თხრობით წინადადებაში ქვემდებარე თავში დაისმის (1) და რომ დამატება უშუალოდ ზმნას უნდა მოსდევდეს (2). ამგვარ უნებლიე შეცდომას ისინი უმაღლვე შეასწორებენ. უცხოელ სპეციალისტთა აზრით, თვითშესწორება (self-correction/to self-correct oneself) სტუდენტს უსათუოდ ცოდნაში უნდა ჩაეთვალოს – გზა ცოდნისკენ სწორედ ამგვარ პრაქტიკაზე გადის.

თხრობითი წინადადება ამ მიმართებით თითქოს არც უნდა ქმნიდეს პრობლემას, აქ ასახსნელიც ბევრი არაფერია, მაგრამ შეცდომები მაინც არის როგორც წერით, ასევე ზეპირ მეტყველებაში. განურჩევლად იმისა, სილრმისეულია დაშვებული შეცდომა თუ უნებლიე, საჭიროების შემთხვევაში მივმართავ ასეთ ქრესტომათიულ მაგალითს: *მონადირემ მოკლა დათვი*. რადგან მოთხრობითი ქართულში საკუთრივ ქვემდებარის ბრუნვაა, დამატების წინ გადმოტანა აზრს არ ცვლის: *დათვი მოკლა მონადირემ*. სტუდენტებს ვთხოვ წარმოიდგინონ ეს როგორც თხრობის ფრაგმენტი და თარგმნონ ორივე წინადადება: *The hunter killed a bear. A bear killed the hunter*. სხვაობა თვალსაჩინოზე მეტია – იგი, ასე ვთქვათ, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გადის. ეს მეტყველი მაგალითია და, ამდენად, ეფექტურიც – არ შეიძლება თვითნებურად მოექცე იმას, რასაც მკაცრად დადგენილი სიტყვათა წყობა (rigid word order) ჰქვია.

ბევრად უფრო დამაფიქრებელია სიტყვათა თანმიმდევრობა კითხვით წინადადებაში. კითხვის აგების მეთოდოლოგია – დამხმარე ზმნის არჩევითად შემოყვანა, წინდებულისა და სახელის დისტანციური განლაგება (Who is he speaking to?) და სხვ. თავისთავად უცხოა და

პრობლემური ჩვენი სტუდენტობისათვის. აქ მეტწილად სიღრმისეულ შეცდომებს ვაწყდებით, რაც ქართული და ინგლისური ენის სტრუქტურულ-სინტაქსური არაერთგვაროვნებით აიხსნება.

შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში კითხვის აგებისას ინგლისურში ქვემდებარე კარგავს წინამავალ პოზიციას (სახეზეა გრამატიკული ინვერსია). გართულებულია ქვემდებარე-დამატების გამიჯვნა, რაც პირველივე სიტყვიდან ადვილად ხერხდებოდა ნაცვალსახელებით who vs. whom (ცხადია, როცა კითხვა ადამიანს მიემართება); მაგრამ ანალიზურობის ტენდენციამ აქაც იმძლავრა და ძველი მიცემითი ბრუნვის ფლექსია -m ინგლისურში დღეს უკვე თითქმის აღარ იხმარება აღნიშნულ ნაცვალსახელთან; გრამატიკულმა ომონიმიამ კი, თავის მხრივ, კითხვის აგება-გაგებაში ახალი ორაზროვნება წარმოქმნა. შდრ. Who is Jim meeting today? Who is meeting Jim today?

ამ შემთხვევაში მასწავლებელს, რომლის მშობლიური ენა ასევე ქართულია, შეუძლია საკუთარი გონების პრიზმაში გატარებული სქემების მიწოდებითა და ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიოს შემსწავლელს. საკითხის არსში გარკვეული სტუდენტი უკვე ადვილად გადალახავს სიღრმისეული შეცდომის სივრცეს, დანარჩენი ყოველივე კი, მოგეხსენებათ, პრაქტიკისა და სიბეჯითის საქმეა, იმისა, რასაც ჰქვია self-study activity. სხვათა შორის, ზოგჯერ განმუხტვის მიზნით და ჭეშმარიტების მარცვლის გასაღვივებლადაც მოვიხმობ იმგვარ პოპულარულ შეგონებებს, როგორიცაა: I have to learn English myself, my teacher can't do it for me. You can't learn without mistakes - mistakes (ან იქნებ errors?) are learning opportunities. მიაქციეთ ყურადღება, რომ ბოლო გამონათქვამი შეცდომისადმი პოზიტიურ მიდგომას შეიცავს და აბათილებს დასჯის განცდა-მოლოდინს. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ე. წ. „გაქვავებულ“ შეცდომებს (fossilized mistakes), რაც მეტწილად შეცდომის „ხანდაზმულობითა“ და სტუდენტის დაუდევრობით აიხსნება და მასზე პასუხისმგებლობა მთლიანად ამ უკანასკნელს ეკისრება.

ვწუხვარ ზემოთქმულის ზედაპირულობის გამო, მაგრამ პრობლემის არსი, ვიმედოვნებ, გადმოვეცი. ერთსაც დავძინ: ხსენებულ სქემებში ქვემდებარის, როგორც წინამავალი წევრის, პოზიციური ნომერია 1, კითხვაში კი მის გარშემო, მარცხნივ და მარჯვნივ, სათანადო ნუმერაციით განლაგდებიან დანარჩენი სიტყვები: აზრობრივი და დამხმარე ზმნა/კითხვის ოპერატორი, კითხვითი სიტყვები და წინადადების სხვა წევრები (იხ. დანართი, სქემა 1).

ამით უკვე ფაქტობრივად გადავედით გრამატიკული მასალის ორგანიზაციის საკითხზე. ეს ჩემი სათქმელის მნიშვნელოვანი ნაწილია,

რადგან სწორედ აქ მოხდება ერთიანი საპროგრამო მასალით გათვალისწინებული და სხვადასხვა დონის სახელმძღვანელოებში მოქცეული ინფორმაციის ამოკრება, თემატურად დალაგება და ერთ მთლიანობად შეკვრა. სწორედ აქ უნდა გამოიკვეთოს, თუ როგორ მიეცემა სახელმძღვანელოში სხვადასხვა ადგილას განთავსებულ წესებს, მორფოლოგია იქნება ეს თუ სინტაქსი (უფრო სწორად – ცალკე მორფოლოგია და ცალკე სინტაქსი), მეტი დამაჯერებლობა და სიმწყობრე. ეს კი იმ მიზნით ხდება, რომ სტუდენტს ჰქონდეს განცდა შესასწავლი მასალის თანმიმდევრულობის, უწყვეტობისა და მთლიანობისა; განცდა იმისა, რომ ბევრი ენობრივი მოვლენა ადვილად ექვემდებარება ლოგიკურ გააზრებას და რაკი ეს ასეა, მას, სტუდენტს, შესწევს ძალა მეტ-ნაკლებად მართოს ეს მასალა და აღიქვას იგი, მართალია, როგორც არამშობლიური, მაგრამ არცთუ უცხო და დაუძლეველი. ეს ნიშნავს სტუდენტის როგორც კომუნიკანტის მეტ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მეტ მოტივაციასა და პასუხისმგებლობას, საკუთარი ძალის რწმენასა და აკადემიური არჩევანის თავისუფლებას.

ეს ყველაფერი მარტივად გვარდება: ვიღებთ რვეულს. მასში კონსპექტურად იწერება თეორიული მასალა მოკლე, ნათელი მაგალითებით. ესაა რვეული-ცნობარი (reference notebook), დაყოფილი თავებად და თემებად. აქვს სანიშნები, რომ სწრაფად მიაგნონ მასალას. მორფოლოგია. ზმნა: დროები, გვარი და სხვ.; არსებითი სახელი: თვლადი, უთვლადი და სხვ.; არტიკლი და ა. შ.; სინტაქსი. სიტყვათა წყობა, კითხვითი კონსტრუქციები, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადების სახეები და ა. შ. რა თქმა უნდა, ყურადღებას ითხოვს მოდალურობა, წინდებულებიანი მართვა და სხვ. და სხვ. საკითხთა მთელი ეს სპექტრი არ არის მოგონილი, მას თავად ავტორები გვთავაზობენ, ოღონდ – გაფანტულად, ერთი სახელმძღვანელოს სხვადასხვა გაკვეთილსა და სხვადასხვა დონის სახელმძღვანელოებში, რაც რამდენიმე სასწავლო სემესტრის მანძილზე მიეწოდება სტუდენტს. ჩვენ თავს ვუყრით მათ, თემების მიხედვით ვაჯგუფებთ, ვქმნით ვერტიკალურ განზომილებას, ამით უკვე გრამატიკის ნორმატიულ კურსს ვუახლოვდებით და მასალაც სისტემურ აღქმა-განლაგებას ექვემდებარება. რაც შემდგომში აადვილებს მის ათვისებას. ესაა გზა ფრაგმენტულობიდან სისტემატიზაციისაკენ. ესაა სააზროვნო სივრცე, არცთუ რთული, მაგრამ დროში განფენილი შედეგიანი პროცესი, გრამატიკის სიზუსტით დაუფლების ერთ-ერთი წინაპირობა.

ქვემოთ მოყვანილი პუნქტები მოცულობით შორსაა იმისგან, რასაც კონსპექტური ვუწოდებ, მაგრამ აქ მოცემულია განმარტებითი ხასიათის მასალა, ე. წ. ფონური ინფორმაცია, რომელზეც შემდგომ

შეკვეცილ ჩანაწერს ააგებს მსურველი. ამ ინფორმაციის გარკვეული ნაწილი არც არის გამიზნული აუდიტორიისათვის და, ასე ვთქვათ, „კადრს მიღმა“ რჩება; მაგრამ იგი საჭიროა, რადგან გვთავაზობს ახალი თაობის სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებულ ურთიერთობას ენასთან: ენა, თუნდაც ღრმად იდიომატური, როგორც ინგლისურია, ზუსტად აწყობილ მექანიზმს/სისტემას წარმოადგენს და მას სიზუსტით უნდა ვასწავლიდეთ.

1. **მორფოლოგია.** (ა) ყველას მოეხსენება, რომ ინგლისურში ზმნას 12 გრამატიკული დრო აქვს. გამოდის, რომ თითოეულ რეალურ დროს – ახლანდელს, წარსულსა და მომავალს – 4 გრამატიკული დრო ემსახურება. ამასთან, აწმყო სრული/Present Perfect ჩვეულებრივ უკვე მომხდარ მოქმედებას აღნიშნავს და მეტწილად ნამყოთი ითარგმნება, რაც კიდევ უფრო „ამძიმებს“ წარსულის სურათს. ასეთ შემთხვევაში ალბათ ძალიან ღირებულია ერთი მცირე შენიშვნა, მითითება (teacher's tip), რაც სტუდენტს გონების თვალთ დაანახვებდა საკითხის არსს. ეს კი შემდეგში მდგომარეობს: გრამატიკულ დროს, უცილობლად ყოველ მათგანს, ინგლისურში უსათუოდ თან ახლავს არაენობრივი, პრაგმატული მახასიათებელი – შემოაქვს ინფორმაცია იმ სიტუაციის შესახებ, რომელსაც ის ასახავს. სიტუაცია კი, მოგეხსენებათ, მუდმივად ცვლადი ან არაერთგვაროვანია. სწორედ აქედან იღებს სათავეს გრამატიკულ დროთა სიუხვე ინგლისურში. ეს არ არის ჩემი აზრი, ამას ამბობს ენის მატარებელი, გრამატიკის სახელმძღვანელოს ავტორი (ვწუხვარ, მაგრამ ციტირებას ვერ ვახდენ, რადგან ეს წყარო ამჯერად ვერ მოვიძიე), იგი გვაწვდის საკითხის მიზეზობრივ ახსნას, რაც ზმნის დროებზე მუშაობისას, ვფიქრობ, უდავოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ავილოთ ქართული ზმნა სწავლობს. შევხედოთ მას ინგლისურის პოზიციიდან. იგი არ შეიცავს სიტუაციურ მახასიათებლებს, აქ არ ჩანს მოქმედება ა) ზოგად-ხოლმეობითია, ბ) ამწამიერი, გ) წარსულიდან მომდინარე თუ სხვა ამგვარი რამ. ამას ქართულში კონტექსტი აზუსტებს; ინგლისური ზმნა კი მორფოლოგიის ენით იმთავითვე აკონკრეტებს სათქმელს. კერძოდ: ა) learns, ბ) is learning, გ) has been learning. წარსულ და მომავალ დროთა ხმარებასაც ასეთივე საგულისხმო ფაქტორები უდევს საფუძვლად, რომელთა განხილვაც არაა წინამდებარე პუბლიკაციის მიზანი.

ამგვარ ახსნას შეძლებისდაგვარად თან უნდა ახლდეს თვალსაჩინოება შესაბამისი სქემების სახით. მომავლობა (და არა მარტო იგი), მაგალითად, კარგად ლაგდება ველის სივრცეში, რაც, ცხადია, საკუთრივ მომავალი დროებით არ შემოიფარგლება (ეს თვალსაჩინოება

სტატიის დანართშია წარმოდგენილი (იხ. სქემები 5,6). დავუბრუნდები თავიდან თქმულს – პრაგმატულ ფაქტორს და დავძენ: ფორმათა ამგვარი სიმრავლე, რომ არაფერი ვთქვათ თითოეული დროის შინაარსობრივ დატვირთვაზე, დიდადაა განპირობებული მნიშვნელობის სიტუაციური კომპონენტით. საერთოდ, სწავლების პროცესში ბევრია გასააზრებელი და გონივრულად გადასაცემი, რათა სტუდენტმა უცხოური ენის სივრცეში გაუცხოებულად არ იგრძნოს თავი. გონების თვალთ ალიქვას პრობლემა. ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ იგი ფლობდეს სიტუაციას, კარგად ესმოდეს, თუ რატომ ხმარობს მოცემულ შემთხვევაში ამ და არა სხვა გრამატიკულ ფორმას. ეს სააზროვნო სივრცე სიღრმისეულ შეცდომაზეა გათვლილი და, რაკილა სტუდენტს ეს სივრცე მიეცა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ღირსეულ პარტნიორობას გაუწევს მასწავლებელს, აღმოფხვრის შეცდომებს და მათი თანამშრომლობაც უფრო შედეგიანი აღმოჩნდება.

საქმის არსში წვდომისათვის აქ ენათაშორისი კონტრასტი მოვიშველიე, იყო ანალოგიის ელემენტიც – სამი რეალური დრო, რომელთაც გრამატიკულ დროთა განსხვავებული რაოდენობა ასახავს, და იყო მცდელობა განგვემარტა, თუ რატომაა ეს ასე და არა სხვაგვარად შესასწავლ ენაში.

კონტრასტი და ანალოგია შემეცნების ეფექტური იარაღებია. მათი საფუძველი მეტწილად ლინგვისტური უნივერსალიებია, რომლებსაც ენები ერთგვაროვნად (ანალოგია) ან განსხვავებულად (კონტრასტი) ასახავენ. ამჯერად პირველს ჩავუკვირდებით: They are leaving tomorrow – ხვალ მიემგზავრებიან. სამომავლო მოქმედებას როგორც ინგლისური, ასევე ქართული, ახლანდელი დროის ფორმით გამოხატავს. I had heard a lot about the place before I visited it. – გაგონილი მქონდა... ეს სიტყვასიტყვით შეესაბამება ინგლისური ზმნის ნამყო სრულს (had heard – მქონდა გაგონილი) და მისი ზუსტი ანალოგია, ოღონდ უწინარესობის გამოსახატავად ქართული სინტაქსს მიმართავს და ორწევრა შესიტყვებას იყენებს, ინგლისური კი – მორფოლოგიას, Past Perfect დროს; If you were me ... შენ რომ ჩემს ადგილას იყო, რას გააკეთებ(დი)? – განა აქ ზმნა იყო ასევე წარსულის ფორმით არ მიემართება ახლანდელს/მომავალს? და სხვა ამგვარი მსგავსებანი.

(ბ) მომდევნო შეცდომა, რაც ასევე ტიპური ხასიათისაა, შეიძლება არც იყოს სიღრმისეული: *I opened the door and saw a beautiful, red roses... იგი უდავოდ უნებლიეა და სტუდენტი მას თავადაც ადვილად გაასწორებს, მაგრამ არ იქნებოდა ურიგო ამგვარი ახსნა-განმარტება: განუსაზღვრელი არტიკლი წარმოდგება რიცხვითი სახელისაგან one და, ამდენად, მრავლობით რიცხვში მისი ხმარება გამორიცხულია.

არტიკლი a იმავე მიზეზის გამო უთვლად სახელებთანაც არ იხმარება. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ, ვთქვათ, ნივთიერების რალაც მცირე ნაწილზეა საუბარი? ნახეთ, როგორ უდგება ამ საკითხს უცხოელი ავტორი: სახელის მსაზღვრელთა შორის იგი ჯერ განასხვავებს a) quantifiers (many/much, a lot of, some და ა.შ.) და b) partitives, შემდეგ კი დასძინს: Partitives are a way of counting uncountable nouns: an item of furniture, two cans of beer და ა.შ. [4, 40]. აქ თითქმის არაფერია ახალი, მაგრამ რა მარტივად და გააზრებულადაა გადმოცემული საკითხის არსი. შეცდომისაგან არავინაა დაზღვეული, მით უფრო – შეზღუდული დროის პირობებში, მაგრამ ამგვარი თანამდევნი ფრაზა, ენის მატარებლის მიერ ზუსტად მიგნებული და ასე სადად თქმული, დიდი ალბათობით დაიცავს სტუდენტს სიღრმისეული შეცდომებისაგან. არის ასევე დიდი ალბათობა იმისა, რომ ამგვარად მიწოდებული ინფორმაცია ადვილად შეერწყმება სტუდენტის ცოდნის უკვე არსებულ მარაგს (რადგანაც მან გარკვეული ვაკუუმი შეავსო), უნარ-ჩვევად ჩამოყალიბდება და შეცდომაც აღიკვეთება.

საერთოდ, არტიკლი რთული თემაა, მით უფრო – ჩვენთვის; ჩვენთვის იგი ერთგვარი ყველგანმყოფი უჩინმაჩინია, მაგრამ არტიკლის ხმარება ხშირად (იდიომატიკის გამორიცხვით) სავსებით ექვემდებარება სისტემურ ახსნა-განმარტებას. აქ მთავარი მინიშნება არტიკლის გრამატიკულ მნიშვნელობებზე უნდა გაკეთდეს, თუმცა იშვიათ შემთხვევაში იგი კონკრეტულ ლექსიკურ მნიშვნელობასაც არ არის მოკლებული.

2. **სინტაქსი.** დროთა შეთანხმება ირიბ თქმაში, ე. წ. backshifting, ასიმილაციას ემყარება. ოღონდ ის, რაც ფონეტიკაში შეგვხვედრია, ამჯერად მორფოლოგიურ სახეს იღებს და სინტაქსში იმკვიდრებს თავს: მთავარი წინადადების ზმნა ნამყო დროშია და დამოკიდებული წინადადების ზმნაც მას „უნდა დაემსგავსოს“, უნდა გადავიდეს (შესაბამის) ნამყო დროში. ეს იმდენად ნაცნობი თემაა, რომ მაგალითების მოყვანა უადგილოდ მეჩვენება. მე მხოლოდ შევეცადე, ინგლისური ზმნის კიდევ ერთი თავისებურება ჩვეულ ჭრილში წარმომედგინა, რისთვისაც მის ზოგადენობრივ საწყისზე მივუთითე (ასიმილაცია როგორც ანალოგიის კერძო შემთხვევა). ეს კიდევ ერთი ნაბიჯია, გადადგმული მოვლენათა გააზრებული ხედვისაკენ; ამგვარი ხედვა კი, ჩემი გამოცდილებითა და რწმენით, მხოლოდ აახლოვებს სტუდენტს შესასწავლ ენასთან, ამცირებს გაუცხოების ელემენტებს, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ცოდნის ხარისხზე.

გრამატიკის თემატიკა სასრულია და კარგ საფუძველზე აგებული ცოდნა შემდგომში, სწავლების მომდევნო დონეებზე, ადვილად ითავსებს ნებისმიერ სიახლესა და ადვილადვე ახდენს ძველის შევსება-მოდულიზაციას. ეს ალბათ იმიტომ, რომ გრამატიკა იმავდროულად სისტემურიცაა, ხშირ შემთხვევაში სავსებით ექვემდებარება ლოგიკურ გააზრებას, ზოგადიდან კერძოზე გადასვლას და მოვლენათა მიზნობრივ ახსნას.

გრამატიკული მასალის სასრულობასა და სისტემურობასთან დაკავშირებით დავძენ: ზემოაღწერილი, ასე ვთქვათ, აკადემიური მიდგომა მით უფრო სასრულია, რამდენადაც სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე და მაღალი დონის სერტიფიკაციის შემთხვევაში იგი ნაკლებადაა აქტუალური: მან შემსწავლელს უკვე მისცა სწორი მიმართულება და ესაა მთავარი, ჩაახედა ენის ფუნქციონირების მექანიზმში, მისცა სააზროვნო სივრცე, სადაც შემდგომშიც კუთვნილ ადგილს მიუჩენს ახალ ინფორმაციას. მთავარ ორიენტირად კი სტუდენტისათვის დარჩება შესაბამისი სახელმძღვანელო, აუდიტორია და, ცხადია, დამოუკიდებელი მუშაობა საკუთარ თავზე.

სისტემურმა მიდგომამ, როგორც უკვე ითქვა, შექმნა (კონსპექტურად) ვერტიკალური განზომილება – თავი მოუყარა ერთგვაროვან საკითხებს, რომლებიც გაბნეულია განსხვავებული თუ ერთი და იმავე დონის სახელმძღვანელოთა გაკვეთილებში. ჯეროვნად დაკვალიანებული სტუდენტი ადვილად გაუყვება ამ მიმართულებას და სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში ახალი ჩანაწერებით შეავსებს კონსპექტურ ცნობარს (grammar reference notebook). ეს იქნება, როგორც უკვე აღინიშნა, სემესტრებისა და იქნებ წლების მანძილზე ანუ დროში განფენილი შრომა; მაგრამ იგი უდავოდ გამოიღებს შედეგს, რადგან „საქმეში ჩართულია“ სტუდენტის სააზროვნო პოტენციალი, რომელიც პრაქტიკულად უსაზღვროა და მას მასწავლებელთან აქტიურ თანამშრომლობას სთავაზობს.

იმედს გამოვთქვამ, რომ გრამატიკის ამგვარი ორგანიზაცია, მისი სისტემურობის წარმოჩენა, ენობრივი პარალელების მოხმობა და ა. შ. ხელს შეუწყობს საკითხთა არსში წვდომას და შექმნის საფუძვლიანი ცოდნის საწინდარს.

შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული:

იგი ინგლისური ენის გრამატიკის სწავლებაში სიზუსტის გზების ძიებას ეძღვნება. ძირითადი მომენტები შემდეგია:

1. სასურველია მოხდეს სასწავლო მასალის კონტექსტუალიზაცია – მისი მორგება კონკრეტულ დროსა და სივრცეზე. აქ იგულისხმება კომუნიკაციური გრამატიკის უპირობო პრიმატი და ერთენოვან სტუ-

დენტურ აუდიტორიასთან ურთიერთობის სპეციფიკა;

2. მეტყველების სიზუსტე ითხოვს საკითხთა არსში წვდომას, ეს უკანასკნელი კი – ამა თუ იმ გრამატიკული თემის მთლიანობაში გააზრებას, ანუ სვლას მასალის ფრაგმენტიზაციიდან მისი სისტემატიზაციისაკენ. საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მივიჩნევ, რომ შეზღუდული დროის პირობებში ეს ცოდნის გადაცემის უტყუარი გზაა;

3. გრამატიკულ კატეგორიათა უნივერსალური ბუნების გამო ბევრი რამ ამ დისციპლინის სწავლებისას სასურველია შემეცნების იმგვარი მძლავრი იარაღების მოხმობით წარვმართოთ, როგორცაა ანალოგია და კონტრასტი. საგულისხმოა მშობლიური ენის ფაქტორის განთვალისწინება, რაც ხელს შეუწყობდა სიღრმისეული და ასევე ინტერფერენციით გამოწვეული შეცდომების სათანადოდ გააზრებასა და აღკვეთას. აქ ნათლად იკვეთება EFL მასწავლებლის როლი, მისი ფილოლოგიური ალლო და მზაობა – სწავლების პროცესში ეფექტურად დანერგოს უცხოური მეთოდოლოგიის უახლესი მიღწევები. ჭეშმარიტება ოქროს შუალედზე გადის და ამგვარ მიდგომაში ახალი არაფერია. სიახლე ალბათ ამ მიმართულებით კონკრეტული გზების ძიებაა, რაც ჩემს შემთხვევაში არსებითად განაპირობა სიტუაციურმა აუცილებლობამ და გამოცდილების გაზიარების სურვილმა.

დანართი

დანართი დამხმარე ხასიათის მასალას სთავაზობს სტუდენტს.

აქ რამდენიმე სქემაა წარმოდგენილი. მათი მიზანია ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით განამტკიცონ თეორიულად მიღებული ცოდნა, რაც კითხვითი წინადადების აგებულებასა (სქემები 1-4) და სამომავლო მოქმედებას (სქემა 5) შეეხება.

სქემები 1-4.

კომუნიკაციური გრამატიკა ენას განიხილავს როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ძირითად საშუალებას; იგი ენის სტრუქტურაზე მეტად მის გამოყენებაზეა ორიენტირებული [5, 4]. წინამდებარე სქემებში კითხვითი სტრუქტურების წინა პლანზე წამოწევა, სულ მცირე, ორმა ფაქტორმა განაპირობა: მეტყველების სიზუსტის აუცილებლობამ და კომუნიკაციის პროცესში კითხვითი წინადადების ხმარების მაღალმა სიხშირემ. აქ საკმაოდ დეტალურადაა ასახული ყველაზე პრობლემური, ე. წ. WH-კითხვების სტრუქტურა.

სქემა 1.

ცნობილია, რომ წინადადებას ქვემდებარე-შემასმენლის ერთობლიობა ანუ პრედიკაცია ქმნის. ეს ზოგადი წესია. ასევე ცნობილია, რომ ინგლისური ენის შემთხვევაში ამას დაერთვის სიტყვათა მკაცრად დადგენილი რიგი, კერძოდ, ქვემდებარის სავალდებულო წინამავალი პოზიცია თხრობით წინადადებაში. სქემისთვის რიგითი ნომრები დაგვჭირდება, ქვემდებარისა – 1, შემასმენლისა კი – 2.

1 2
They played football yesterday.

ქვემდებარე-შემასმენლის ერთობლიობა წინადადების ღერძია (ამ სიტყვის მრავალმხრივი გაგებით). ეს ნათლად ჩანს კითხვით სტრუქტურებში, სადაც წინადადება, ჩვეულებრივ, ქვემდებარე-შემასმენლის მარცხენა მხარეს განივრცობა. აქ გრამატიკული ინვერსიის შესაბამისად განლაგდებიან დამხმარე ზმნა/კითხვის ოპერატორი და სათანადო კითხვითი სიტყვები. მათაც აქვთ რიგითი ნომრები: 0 და 00. ვუწოდოთ მათ პირობითად ერთ- და ორნულოვანი წევრები.

		1	2	
	0	They played	football	yesterday
00	Did	they play	football	yesterday?
What	did	they play	-----	yesterday?
When	did	they play	football	----- ?

განმარტება 1. მარცხენა გარემოცვაზე ანუ ნულოვან და ორნულოვან წევრებზე რომ არაფერი ვთქვათ, გარკვეული ცვლილებები ქვემდებარე-შემასმენლის მარჯვნივაც შეინიშნება; თავად ქვემდებარე-შემასმენლის ერთობლიობა კი დგას, ასე ვთქვათ, ურყევად, ცვლილების გარეშე და ამით კითხვათწარმოების არც თუ იოლ პროცესში ჩართული სტრუქტურისათვის მყარი საყრდენის ან, გნებავთ, ორიენტირის დანიშნულებას ასრულებს. საჭიროა 1 და 2 წევრის ერთიანი ფერადი კოდით გამოყოფა. აქ მხოლოდ ორმაგი ჩარჩოს შემოვლებით შემოვიფარგლები.

შენიშვნა: ჩვენს აუდიტორიაში პრობლემურია ნულოვანი გრაფა – ხდება პირდაპირი გადასვლა ორნულოვანიდან პირველ წევრზე: *What they played...? *When played they ...? შეცდომა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ინტერფერენციით – შესაბამისი კითხვა ქართულში დამხმარე ზმნის გარეშე აიგება. ეს გრაფა უთუოდ ყველაზე მკვეთრ, თვალშისაცემ ფერად კოდს ითხოვს, რომ იგი კარგად აღიბეჭდოს სტრუქტურის მეხსიერებაში. ალბათ ურიგო არ იქნება გრაფი-

კულად ის ტეხილიც (ანუ კიბე) გამოიკვეთოს, რომელიც ახალი წევრების, ასე ვთქვათ, „მიშენებით“ შეემატა წინადადებას (ჩვენს სქემაზე იგი გამუქებულია).

განმარტება 2. ქვემდებარე-შემასმენლის მარჯვენა წევრები (მათი ფაკულტატურობის გამო) ნუმერაციის გარეშეა წარმოდგენილი. მსურველს შეუძლია ისინიც დანომროს, თუკი, მისი აზრით, ეს მეტყველების სიზუსტეს რაიმეს შემატებს. ეს არაა მთავარი. სქემატურად მთავარი შემდეგია: wh-სიტყვები (აქ: what, when) მათ მიერ ჩანაცვლებულ სიტყვებს (აქ: football, yesterday) შინაარსობრივად არ ანიტრალეზენ, ვერ ახდენენ მათს ნიველირებას. სწორედ ამიტომ შესაბამისი გრაფები შენაჩუნებულია და ამ უკანასკნელთა ყოფნას წინადადებაში (contextual presence) აღნიშნავს ტირე – ტირე ამ შემთხვევაში აზრით დამუხტულ არყოფნას (meaningful absence) აღნიშნავს.

სქემა 2.

კითხვითი სიტყვის კავშირი მის მიერ ჩანაცვლებულ სიტყვასთან განსაკუთრებით თვალსაჩინოა იქ, სადაც კითხვა წინდებულისა და მატებას დაესმის. ამ ტიპის კითხვებს ცალკე გამოვყოფ და განვიხილავ როგორც სინტაქსური იდიომატიკის ან, გნებავთ, ენობრივი იდიოსინკრეზიის ერთ-ერთ საყურადღებო გამოვლინებას. მხედველობაში მაქვს თუნდაც საკითხის სტრუქტურული მხარე – წინდებულისა და მატების ნაწილთა დაშორიშორება (აქ: What for---?): კითხვითი სიტყვა წინადადების თავში დგება, წინდებული კი თავის ადგილს ინარჩუნებს.

		1	2
	0	He asked	his friends for help.
00	Did	he ask	his friends for help?
What	did	he ask	his friends for --- ?

ეულად დარჩენილი წინდებული (აქ: for) გარკვეულ კომპენსაციას იღებს, ძირითადად ენის ფონეტიკური რესურსების ჩართვით, რასაც აქ არ შევხები.

სქემა 3.

სახელმძღვანელოები, სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო, ცალკე გამოყოფენ ქვემდებარისადმი დასმულ კითხვებს. დავაზუსტებ: აქ შედის როგორც ქვემდებარის, ასევე მისი განსაზღვრების კითხვები, ანუ სქემა 3 მოიცავს ქვემდებარის ჯგუფს: საკუთრივ ქვემდებარესა და მის მსაზღვრელს. დავაზუსტებ ასევე ამ კითხვათა სპეციფიკას. სტრუქტურულად ეს მარტივზე მარტივი შემთხვევაა – იგი აგებულია ჩანაცვლების პრინციპზე: სათანადო სიტყვა „ამოიღება“ და მის ადგილას შესაბამისი კითხვითი სიტყვა ჩაისმის. მოხსნილია ჩვენი სტუდენტისათვის ყველაზე დიდი სირთულე – ქვემდებარე-შემასმენლის მარცხენა გარემოცვის აუცილებლობა (ანუ ალარ გვესაჭიროება ერთ- და ორნულოვან წევრებთა გრაფები).

1	2	
Jim's sister	got	expensive wedding presents.
Who	got	expensive wedding presents?
Whose sister	got	expensive wedding presents?

შენიშვნა: არის შეცდომის დაშვების ერთი ალბათობა, რომელიც ადვილად დაიძლევა ენობრივი პარალელის მოხმობით. They get expensive birthday presents. Who gets expensive birthday presents? შდრ. ისინი იღებენ... – ვინ იღებს (და არა *ვინ იღებენ...)? შემასმენელი ქართულშიც მხოლოდობით რიცხვში გადადის.

(შემაჯამებელი) სქემა 4.

(Whose sister thanked everyone for the presents?)

(Who thanked everyone for the presents?)

1

2

	0	Jim's sister	thanked	everyone	for the presents.
00	Did	Jim's sister	thank	everyone	for the presents?
Who(m)	did	Jim's sister	thank	-----	for the presents?
What	did	Jim's sister	thank	everyone	for ----- ?
What	did	Jim's sister	do	-----	-----?

მიაქციეთ ყურადღება: 1) ბოლო კითხვა შემასმენელს დაესმის. შემასმენლისადმი დასმული wh-კითხვას წინამავალ სქემებში არ შეეხებივართ. შემასმენელს გრაფაში 2 ჩვეულებრივ ზმნა to do წარმოადგენს (შდრ. მადლობა გადაუხადა, წავიდა, ააშენა და ა.შ. – რა გააკეთა/ქნა?)

2) ქვემდებარის ჯგუფის კითხვები, სტრუქტურული სიმარტივის გამო, სულ სხვა სივრცეში, წინადადების ზევეთაა განთავსებული – ვფიქრობ, ჩანაცვლების პრინციპი ამით უფრო მეტ თვალსაჩინოებას შეიძენს. ისინი პირობითად ფრჩხილებშია ჩასმული, რადგან სქემის შედგენა ამ კითხვებით არ იწყება. იგი იწყება წინადადებით: Jim's sister thanked everyone for the presents.


შენიშვნა: სასურველია სტუდენტმა საკითხის ათვისება ამგვარივე სქემების გამოყენებით დაიწყოს; მხედველობაში მიაქვს თემაზე დამოუკიდებელი კლასგარეშე მუშაობა. გარკვეულ ეტაპზე, როცა თეორიული ცოდნა მტკიცე უნარ-ჩვევად ჩამოყალიბდება, სქემების აუცილებლობაც მოიხსნება.

სქემა 5.

იგი სამომავლო მოქმედებას ასახავს და ფორმათა სიმრავლით გამოირჩევა. აქ შედის ოთხი საკუთრივ მომავალი დრო: Future Simple/Continuous/Perfect/Perfect Continuous, ამასთან ორი აწმყო დრო Present Continuous და Present Simple და ერთი გრამატიკული კონსტრუქცია – to be going to. ფორმათა სიმრავლე უკვე იმთავითვე გარკვეული სირთულის შემცველია. სირთულეში ორი დონე გამოიყოფა: (ა) სტრუქტურული – ფორმათა რაოდენობა და განლაგება დროით სივრცეში; (ბ) შინაარსობრივი ან, გნებავთ, ფუნქციური – თითოეული ფორმის მნიშვნელობა, რომლითაც იგი ქმნის და ამდიდრებს მომავლობის ერთიან თემატურ სივრცეს.

(ა) ამ სახის სირთულე ადვილად გადაილახება, თუ მომავლობის გრამატიკულ მნიშვნელობას ველის სახით წარმოვიდგენთ და იქ თითოეულ ფორმას მისთვის განკუთვნილ ადგილს მივუჩინებთ.³

³ ეს ერთგვარი ენობრივი პარალელია, მოხმობილი ლექსიკიდან. ველის თეორია თავდაპირველად ლექსიკის სისტემატიზაციის მიზანს ემსახურებოდა, შემდგომში კი საგრძნობლად გაიფართოვა „მონმარების“ არეალი.



ცნობილია, რომ ველს აქვს მკაცრად დადგენილი სტრუქტურა. ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე აქ მის ორ შრეს შევხებით. ესაა: ბირთვი – will, ანუ Simple Future- დრო, რომელთანაც იმთავითვე ასოცირდება მომავლობა; და პერიფერია – ყველა დანარჩენი ფორმა, რომელიც ბირთვის გარშემო განლაგდება.

(ბ) რა მნიშვნელობისაა თითოეული ეს ფორმა?

ყოველი მათგანი მომავლის სივრცეს მიემართება და ამაში არის ანალოგიის მომენტი, არის ერთგვარი გრამატიკული სინონიმია; მაგრამ აქ ენის შემსწავლელთათვის მთავარი ფორმათა შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობაა, მთავარი ისაა, თუ მნიშვნელობის რა კომპონენტი გამოარჩევს ერთ ფორმას მეორისაგან; კონტრასტი will vs. Present Continuous vs. Present Simple და ა.შ. არა მარტო მთავარია, არამედ განმსაზღვრელიცაა თითოეული მათგანისათვის – რომ არა განსხვავება, ერთ თემატურ სივრცეში ამ ფორმათა თანაარსებობა შეუძლებელი გახდებოდა. მიზეზი მარტივია: ენა ვერ ეგუება სრულ იგივეობას და ფლობს ეფექტურ მექანიზმებს, რომელთა გამოყენებით ადვილად უმკლავდება მისთვის მიუღებელ ყოველგვარ სიჭარბეს (შდრ. ლექსიკური სინონიმის შემთხვევაში მნიშვნელობის დავიწროვება, სიტყვის სხვა რეგისტრში გადაყვანა და ა.შ.). როგორც წესი, თუ მეტ-ნაკლებად იდენტური ერთეულები განაგრძობენ თანაარსებობას, ამას თითოეული მათგანი მნიშვნელობის/სტილის განსხვავებულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ კომპონენტს „უნდა უმაღლოდეს.“

მაშასადამე, წინამდებარე სქემაზე მუშაობისას აუცილებელია დაიძებნოს ფორმათა შორის არსებული შინაარსობრივი განსხვავებანი. შუალედური დონის პროგრამის შესაბამისად, აქ სქემის მარცხენა მხარით შემოვიფარგლები.

რაგვარ მომავლობას აღნიშნავს თითოეული მათგანი? მოკლე პასუხს ამ კითხვაზე იძლევა სქემა, რომელიც სასურველია ფურცლებზე დაურიგდეს სტუდენტებს ან ხელმეორედ დაიხაზოს დაფაზე.

სქემა 6.

Present Continuous

1. a personal arrangement, smth. already organized: *A lot of people are coming to our wedding*(The invitations have been sent)[6, 110].

Present Simple

smth. fixed in timetables, schedules, programmes, etc.: *What time does the match start?*

to be going to

1. an intention to do smth., a general plan: *I'm going to travel a lot after I get my university degree.*
2. a prediction: *It's going to be sunny tomorrow – the sky is clear and starry.*

will

1. a mere future action: *He will be twenty next month.*

2. a sudden decision, offers, promises: *This bag is so heavy, I'll carry it for you.*

3. a future action in belief-contexts: *I think/I'm sure/Probably he'll be back in an hour or so.*

4. a prediction: *Don't worry, things will get better soon.*

სქემის ანალიზს, ცხადია, დომინანტური Simple Future დროით და-ვიწყებთ. ყველაფერი ეს სრულადაა მოცემული შესაბამის სახელმძღვანელოებში და იქნებ ზედმეტიც იყოს მათი ხელახალი ჩამოთვლა, რომ არა ერთი გარემოება: თუ კონკრეტულ ანალიზს ბოლომდე მივყავებით, ადვილად აღმოვაჩინებთ შინაარსობრივი სხვაობის ახალ დეტალებს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ზუსტი მეტყველებისათვის:

1. იქმნება შთაბეჭდილება, რომ will-ზმნის მე-4 პუნქტი იმეორებს to be going to-კონსტრუქციის მე-2 პუნქტს. ზოგი სახელმძღვანელო საკმაოდ დიდი სიზუსტით გამიჯნავს მათ [6, 110]]. სხვაობას ამგვარად შევაჯერებდი: will-4 – აქ პროგნოზი სუბიექტურ ელფერს ატარებს, მასში იკითხება მოლაპარაკის შეხედულება, რწმენა, იქნებ კეთილგანწყობაც; to be going to-2 არგუმენტირებული პროგნოზია, იგი ემყარება ფაქტს (the sky is clear and starry).

2. მიაქციეთ ყურადღება, რომ აწმყო ჯგუფის დროები Present Continuous და Present Simple მომავლის სივრცეშიც ინარჩუნებენ ძირითად განმასხვავებელ ნიშნებს: პირველი ერთჯერად და მეტწილად უახლოეს მომავალზე გათვლილ მოქმედებაზეა ორიენტირებული, მეორე კი მოქმედების ხოლმეობითობასა და გამეორებადობაზე მიუთითებს: *He is leaving at 10 tomorrow. vs. The train leaves at 10 a.m. tomorrow.* Simple Present-დროის შემთხვევაში ხოლმეობითობის სპეციფიკას ის ფაქტიც განამტკიცებს, რომ ცხრილი თუ განრიგი, პროგრამა თუ შინაგანაწესი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ექვემდებარება გადახედვას – გამონათქვამი ძალაშია როგორც წარსულთან, ასევე ახლანდელსა და მომავალთან მიმართებაში, რაც სრულად შეესაბამება აღნიშნული დროის სემანტიკას.

3. არ არის გამორიცხული, რომ კონსტრუქციამ to be going to-1 შეითავსოს Present Continuous-დროის აქ დასახელებული ფუნქცია. თუმცა უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება [7, 10].

უცხოურ ენაზე მუშაობისას შესაძლოა ბუნებრივად წარმოიქმნას ისეთი დაბრკოლება, რომელსაც ზეპირად სწავლით უფრო ადვილად მოეწეება, ვიდრე ფიქრითა და განსჯით. აქ პირველ რიგში ლექსიკა (სიტყვარი, ტექსტი) იგულისხმება, რომლის სიზუსტე ცალკე განხილვის საგანია; მაგრამ საუნივერსიტეტო პროგრამის ფარგლებში არის ის, რაც გონებრივი წვდომით უკეთ იმართება და აზროვნების წესის დანერგვას ითხოვს. ეს არც თუ ძნელად მოსაგვარებელი საკითხია. მთავარია, იყოს მზაობა, სურვილი, რომ უფრო ეფექტური გახდეს პროცესი, რასაც ენის სწავლება ჰქვია.

დამოწმებანი:

1. Intermediate Total English. Students' Book. A. Clark, J. J. Wilson.
2. New Opportunities. Upper Intermediate. Students' Book. M. Harris, D. Mower, A. Sikorzynska.
3. W. Ancker. Errors and Corrective Feedback. Forum. English Teaching. October 2000.
4. Inside Out. Grammar Companion. Intermediate. J. Hird with J. Marks.
5. A Communicative Grammar of English. G. Leech, J. Svartvik. Moscow, 1983.
6. Opportunities. Intermediate. Language Powerbook. M. Dean, A. Sikorzynska.
7. English Grammar in Use. R. Murphy.

OPINIONS

Konstantine Bregadze

The Rock Poetry of the Rolling Stones in the 1960s

This article assigns the rock poetry of the Rolling Stones to a new lyrical genre whose main characteristics can be briefly formulated as follows:

A. A socio-political, non-conformist discourse permeated by colloquialisms and slang, and poor in metaphorical imagery.

B. A philosophical discourse reflecting onto-existential problems.

C. A transcendental or mystical discourse with a more sophisticated poetical rhetoric than the above two. It remained a marginal discourse in the Rolling Stones' rock poetry of the 1960s.

Nana Trapaidze

The Novel and Reality

This article deals with the development of the novel as a genre. It analyzes the peculiarities of Georgian epic thought: ways of novel creation, its development and deconstruction. From the perspective of the sociology of literature, the importance of the literature/reality interface is posed as a problem in the world of fiction as well as of non-fiction.

Liana Gogvadze

Facing the Class

The article is about grammar acquisition strategies in a monolingual university class, at intermediate (and lower) levels.

The main focus is native language interference and ways to avoid errors by spelling out similarities (analogy) and dissimilarities (contrast) between the target and native languages.

Some aspects of organizing EFL teacher's tips are also considered with the ultimate aim to ensure continuity and coherence in the coverage of each grammar topic (tenses, sentence structure, etc.), as well as a deeper insight into English grammar.